

## საქართველოს კანონი

### „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N11, 01.05.2006, მუხ. 78) მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„12. შენობა-ნაგებობების სასციდლიანი უზუფრუქტის, ქირაენობის, იჯარის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სარგებლობის სხვა ფორმებით გადაცემისას საწყისი წლიური საიჯარო ქირა წარმოადგენს „საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის N671 ბრძანებულებით განსაზღვრული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების ღირებულების არანაკლებ 5%-ს, ხოლო საქართველოს პარლამენტისათვის გადაცემულ ქონებაზე – საბალანსო ღირებულების არანაკლებ 1 პროცენტისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,  
2007 წლის — დეკემბერი.  
N —